განკარგულება:**g-135. 135240605**
თარიღი:**29/02/2024**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადასცეს **ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას,** მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა მესტიაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 42.06.52.011), ტურიზმის სკოლის არსებობის ვადით, საწვრთნელი ბაზის მშენებლობის მიზნით.

2. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ზუგდიდი გრ.ქობალიას ქ №12ᵇ).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი